ცვლილებები ძალაშია 15.06.2021-დან.

ინტერნეტ-გვერდზე www.procreditbank.ge **განთავსებულ საბანკო მომსახურების პირობებში შევიდა შემდეგი ცვლილებები:**

1. **შეიცვალა საბანკო მომსახურების პირობების 2^2 მუხლის მე-8 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:**

„დ) საქართველოში რეგისტრირებული იურიდიული პირი, რომელსაც არ გააჩნია აქტიური ანგარიშ(ებ)ი სს პროკრედიტ ბანკში და ერთდროულად აკმაყოფილებს ყველა შემდეგ პირობას:

- რეგისტრირებულია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების (შპს) სამართლებრივი ფორმით და ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირს გააჩნია დამოუკიდებელი (ერთპიროვნული) წარმომადგენლობითი უფლებამოსილება;
- ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი ფლობს საქართველოს მოქალაქეობას და აქვს ამ მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრული პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- მფლობელობით სტრუქტურაში ყველა ფიზიკური და იურიდიული პირი არის საქართველოს მოქალაქე ან საქართველოში რეგისტრირებული შპს;
- ბენეფიციარი მესაკუთრე(ები) დგინდება ამონაწერით მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან;
- საბოლოო ბენეფიციარი მესაკუთრე (მესაკუთრეები) არის საქართველოს მოქალაქე.“

2. **შეიცვალოს საბანკო მომსახურების პირობების 2^2 მუხლის 8.1 პუნქტი და ჩამოყაიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„8.1. ვიდეო იდენტიფიკაციის საფუძველზე მიმდინარე ანგარიშის გახსნის დროს, კლიენტს გაუაქტიურდება საბაზისო საბანკო პროდუქტები. ამასთან, კლიენტის უშუალო იდენტიფიკაციამდე, კლიენტს ეზღუდება ვიდეო იდენტიფიკაციით გახსნილ ანგარიშზე საბანკო ოპერაციების წარმოება, გარდა ანაბრის გახსნისა და შემდეგი ოპერაციებისა: თანხის ჩარიცხვა, სს პროკრედიტ ბანკში არსებულ საკუთარ ანგარიშებს შორის თანხის გადარიცხვა, ერთი სავალუტო ერთეულიდან მეორეში თანხის კონვერტაცია, თანხის გადარიცხვა გარდა იმ შემთხვევისა, თუ გადარიცხვის ოპერაცია დაკავშირებულია საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2019 წლის 18 დეკემბრის N 240/04 ბრძანებით განსაზღვრულ მაღალი რისკის იურისდიქციებთან და ოფშორულ ზონებთან, რომლებიც ამავდროულად არ არის ევროკავშირის წევრი თანახმად საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2021 წლის 30 მარტის N 48/04 ბრძანებისა „ანგარიშვალდებული პირის მიერ პრევენციული ღონისძიებების ელექტრონულად განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე“.

3. **„საბანკო მომსახურების პირობების“ 2^2 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 8.2 პუნქტი:**

„8.2. ბანკი იტოვებს უფლებას, მომეტებული რისკ ფაქტორების არსებობის/გამოვლენის შემთხვევაში, დააწესოს დამატებითი შეზღუდვები და ლიმიტები ვიდეო იდენტიფიკაციით გახსნილ ანგარიშებზე საბანკო ოპერაციების წარმოებაზე.“

4. **„შეიცვალოს საბანკო მომსახურების პირობების მე-20 მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული სტანდარტული პაკეტის განმარტება და ჩამოყაიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„სტანდარტული პაკეტი: ამ შემთხვევაში კლიენტს არ გადაეცემა “დიგიპასი” დროებით სარგებლობაში და/ან TAN-ის საგენერაციო სხვა ელექტრონული მოწყობილობა/საშუალება. მომხმარებელს შეეძლება ნახოს თავისი ანგარიშები, შეასრულოს ოპერაციები მხოლოდ მის კუთვნილ ანგარიშებს შორის, მიმდინარე ანგარიშიდან განახორციელოს კომუნალური, მობილური ოპერატორების, ტელევიზიის და და სხვა სახისინტერნეტის გადახდები, თუ ტრანზაქციის თანხა არის არაუმეტეს 250 ლარი, დღიური ლიმიტის 1000 ლარის ფარგლებში. ასევე გახსნას მიმდინარე ანგარიში და შემნახველი ანაბარი (2020 წლის 13 აგვისტოდან მომხმარებლის მიერ სტანდარტული პაკეტის რეგისტრაცია/აქტივაცია დაუშვებელია);“